მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

�გᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲘᲕᲐᲜᲘ) 1-15 №11 (344) (5771) 2011

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

www.menora.ge

ᲘᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ-ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲕᲝ

გილოცავთ!

2448 წლის სივანის თვეში, მეექვსე დღეს, კაცობრიობამ გადადგა დიდი ნაბიჯი შემეცნებისაკენ — ებრაელობამ მიიღო თორა.

შაბუოთი თორის — მცნებათა მიღების დღესასწაულია.

უკვე 2232 წელია ჩვენ ღვთისმსახური ერი ვართ.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲜᲘᲡᲗᲐᲕᲗᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ



ძვირფასო მეგობრებო,

ჩემი და ისრაელელი ხალხის სახელით, წრფელი გულით გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლისთავს.

საქართველოსა და ისრაელს ბევრი საერთო ინტერესი გააჩნიათ რიგ სფეროებში, როგორიცაა მაგალითად: მეცნიერება, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. პოლიტიკური და ეკონომიკური ჯაჭვი ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს.

ისრაელსა და საქართველოს ხალხს აკავშირებს მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ისრაელის მიწიდან ჩვენი გაძევების შემდეგ დაიწყო. ჩვენს შორის მტკიცე კავშირი მაშინ დამყარდა, როდესაც თქვენ კარები გაუღეთ სამშობლოდან გაძევებულ ებრაელ ხალხს. დღეს, 2600 წლის შემდეგ, ჩვენი მეგობრობა ისეთი მყარია, როგორც არასოდეს.

მე ამაყი ვარ, იმის გამო, რომ იერუსალიმში უამრავი ქართველი ებრაელი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩამოვიდა.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲨᲘᲛᲝᲜ ᲞᲔᲠᲔᲡᲘ

მიხეილ მირილაშვილი: მე რუსეთს არ ვტოვებ

მიხეილ მირილაშვილმა ინტერვიუ მისცა, „ფორბსს.“ ამ ინტერვიუში იგი რუსეთსა და ისრაელში თავის ბიზნესზე, ახალ გატაცებასა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

მიხეილ მირილაშვილს, რომელიც ორი წლის წინათ რუსეთის საპყრობილედან გამოვიდა, რუსეთის ტერიტორიაზე ბიზნესსაქმიანობა არ შეუწყვეტია, თუმცა, დროის უმეტეს ნაწილს ისრაელში ატარებს.

მიხეილ მირილაშვილის თქმით, მისი ობიექტები სანკტ-პეტერბურგში ფუნქციონირებას განაგრძობენ და მოგებაც მოაქვთ. მისმა „კონტის“ ჯგუფის კაზინომ მუშაობა მაშინ შეაჩერა, როდესაც რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში სათამაშო ბიზნესი აკრძალეს, მაგრამ სათავსო, რომელშიც კაზინო მდებარეობდა, მიხ. მირილაშვილს არ გაუყიდია.

—ყველა ობიექტი იყო, არის და მუშაობას აგრძელებს. ამასთანავე მე ახლის აშენება უფრო მიზიდავს, ვიდრე გამზადებულის ყიდვა. ეტაპობრივად ჩვენ ახალ ობიექტებს ვქმნით — საქმიანს, საოფისეს და ავტომანქანების სალონებს. რუსეთში ბიზნესსაქმიანობას კი არ ვასრულებ, პირიქით, ვცდილობ განვავითარო კიდეც, — განაცხადა მიხეილ მირილაშვილმა.

კითხვაზე, თუ ვინ მართავდა კომპანიებს მისი ციხეში ყოფნის წლებში,მირილაშვილმა უპასუხა, რომ ყველა საქმეს უძღვებოდნენ მისი პარტნიორები, ისინი დროდადრო მამამისს (აწგანსვენებული მოშე — მიხეილ მირილაშვილი. რედ.) ეკითხებოდნენ რჩევას. ინტერვიუერმა დასძინა, რომ მის ძმას— კონსტანტინეს (ისრაელში ცნობილია როგორც გაბრიელი) მის ბიზნესთან არანაირი კავშირი არ აქვს.

თავის ბიზნესზე საუბრისას მირილაშვილმა ჩამოთვალა, თუ რომელ სფეროებში მუშაობს. ესენია: დეველოპერული ბიზნესი, მშენებლობა, სასტუმროების ბიზნესი, მედიცინა და ა.შ. ამასთანავე იგი კვლავ და კვლავ იმეორებდა, რომ როგორც ბიზნესმენი, რუსეთში შედგა, ამიტომ ბიზნესსაქმიანობის ორიენტირს სწორედ ამ ქვეყანაზე აკეთებს.

ბინიამინ ნეთანიაჰუს გამოსვლა აშშ-ს კონგრესში

ამერიკელი კონგრესმენები ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს გამოსვლას ფეხზე წამომდგარნი, **აპლოდისმენტებით** შეეგებნენ.

გამოსვლის დასაწყისში ნეთანიაჰუმ აღფრთოვანება გამოხატა ა.შ.შ-ს, იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც არა მარტო მსოფლიოში ცდილობს დემოკრატიის დაცვას, არამედ წარმატებით გაანადგურა მსოფლიოს პირველი ტერორისტი უსამა ბინ ლადენი. შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ისრაელი ყოველთვის იყო ა.შ.შ-ს მეგობარი და ახლო აღმოსავლეთში მის ერთადერთ მოკავშირე სახელმწიფოდ ითვლებოდა. მან კონგრესმენებს შეახსენა, რომ ისრაელი რევოლუციური ძვრების ეპიცენტრში მდებარეობს და მისი მიწა „ჯერ კიდევ ცახცახებს“.

ამ დროს ახალგაზრდა ქალის ხმა გაისმა: „თანაბარი უფლებები პალესტინელებს“, ხმა დანარჩენი მსმენელების აპლოდისმენტებმა ჩაახშო. ნეთანიაჰუ არ დაიბნა და აღნიშნა, რომ ეს ნამდვილი დემოკრატიის მაგალითია, თეირანში ვინმე ასე რომ მოქცეულიყო, იმწუთშივე დააპატიმრებდნენ. პრემიერ-მინისტრმა გაიხსენა, რომ ლიბიასა და ირანში დემოკრატიული წყობის დამყარების მცდელობა იყო, თუმცა, სამწუხაროდ, მან ისტორიის გამოცდას ვერ გაუძლო. ამ რეგიონში, ადამიანებს ჯერ კიდევ ქვებით ქოლავენ. ისრაელი ამ ქვეყნების ფონზე ნამდვილად გამოირჩევა. ისრაელში მცხოვრები დაახლოებით მილიონი არაბი უკვე ტკბება დემოკრატიით, ეს ის ერთადერთი ხალხია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს. ამ რეგიონის განუვითარებლობის პირველი მიზეზი ირანია. ამ ქვეყნის რეჟიმი მთელ მსოფლიოს და თვითონ ისლამსაც კი ემუქრება. ჩვენ ამ პრობლემას ცივილიზებული, დემოკრატიული გზებით, ბირთვული იარაღის გამოყენების გარეშე მოვაგვარებთ. მიმდინარე მოვლენების შეუჩერებლობამ, შეიძლება ცივილიზაციის დასრულებაც კი გამოიწვიოს, რადგან დღეს ბირთვული იარაღის დაყენება პლანეტის ნებისმიერ წერტილში შეიძლება.

ნეთანიაჰუს მკაცრ ტონს იმის შესახებ, რომ ირანი სრულიად გამორიცხავს ჰოლოკოსტის არსებობას, დარბაზი აპლოდისმენტებით შეხვდა.

— სხვათა შორის, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, ირანის მოწოდებაზე, რომ ისრაელი უნდა განადგურდეს, ბევრი სახელმწიფო დუმს, თითქოს ისინი ამ საკითხს ეთანხმებიან. მაგრამ ეს არ ეხება ა.შ.შ.-ს, სახელმწიფოს, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებებს აიათოლას რეჟიმის წინააღმდეგ სანქციები მიაღებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს იყო მხოლოდ ერთხელ, 2003 წელს ომის საშიშროების გამო. ირანმა თავისი ბირთვული იარაღის წარმოება განაახლა, ლიბიამ კი ეს პროცესი საერთოდ შეაჩერა. მსოფლიო წინ უნდა აღუდგეს ირანს, რათა მან ბირთვული იარაღის შექმნა შეაჩეროს. ისრაელი ვალდებულია, მუქარა სერიოზულად აღიქვას. ჩვენ მშვიდობისკენ ვილტვით, მაგრამ მუდმივად გვაიძულებენ, ვიომოთ. ცოტა ხნის წინათ ისრაელის წინააღმდეგ მორიგი ომის გამო ჩემი სიცოცხლე ლამის სუეცის არხის ფსკერზე დავასრულე. მსოფლიო, იორდანიასა და ეგვიპტესთან ერთად რეგიონში სტაბილურობის მთავარი გარანტია, მაგრამ იგი სხვა ქვეყნების დახმარებასაც საჭიროებს.

ორი წლის წინათ, ვცდილობდი მიმეღწია შემდეგისთვის: „ორი სახელმწიფო ორი ხალხისთვის“. ბევრ მტკივნეულ დათმობაზეც წავედი. დროა მეზობელმა ერმა გააცნობიეროს, რომ ებრაელი ერი ოკუპანტი არაა. ეს ჩვენი მიწაა და ისტორიის დამახინჯება არ შეიძლება. თუმცა, ბოლო დროს ამ ფაქტსაც ხშირად აქვს ხოლმე ადგილი. ისრაელის მიწა ებრაელ ხალხს ეკუთვნის, მაგრამ იძულებულნი ვართ ის პალესტინელებთან გავიყოთ. გვინდა, რომ თავიანთ მიწაზე მათ ღირსეულად, დამოუკიდებლად და ეკონომიკურად მზარდ სახელმწიფოში იცხოვრონ. შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ბოლო წლებში პალესტინის განვითარებას: გაიხსნა ბანკები, სავაჭრო ცენტრები, რესტორნები — ეს ჯერ კიდევ მშვიდობის დამყარებამდე ხდებოდა. წარმოიდგინეთ, როგორ განვითარდება ეს რეგიონი სრული სიმშვიდის პერიოდში.

თუ მშვიდობის შედეგი ასეთი მშვენიერია, რატომ არ შეგვიძლია ამის მიღწევა? აქამდე პალესტინელები ისრაელის სახელმწიფოს გვერდით საარსებოდ მზად არ იყვნენ. ქიშპის მიზეზი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა კი არა, ისრაელის არსებობა იყო.

1967 წელს პალესტინელებმა უარი თქვეს, ნატოს დახმარებით, საკუთარი სახელმწიფოს მართვაზე და დღეს ისრაელის შეთავაზებებზეც უარს ამბობენ. საკუთარ ბავშვებს სიძულვილს უნერგავენ. მაჰმუდ აბასი თავისი ხალხის წინაშე უნდა დადგეს და თქვას: „მე ვაღიარებ ისრაელის არსებობასა და ჩვენი სახელმწიფოს შექმნას.“ ეს სიტყვები ისტორიის მიმდინარეობას შეცლიდა. ეს სიტყვები პალესტინელ ხალხს გააგებინებდა, რომ მათ მომავალი განვითარებისთვის ჩვენი სახით ერთგული პარტნიორი ჰყავთ. ნებისმიერი რეალური მოლაპარაკება ისრაელის საზღვრების დაცვას უნდა ითვალისწინებდეს. მომავალმა შეთანხმებამ შესაძლოა ისრაელის მინის ზოგიერთი ნაწილის დაკარგვა გამოიწვიოს, მაგრამ ჩვენი საზღვრები 1967 წლის 4 ივნისის საზღვრებისგან აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს. ისრაელი მზადაა იყოს ხელგაშლილი, მაგრამ თავის საზღვრებს მკაცრად დაიცავს. პალესტინის სახელმწიფო განვითარებისა და აყვავებისთვის საკმარისად დიდი უნდა იყოს, თუმცა, ებრაელებს მთელი მსოფლიოდან სამშობლოში, ერთადერთ ებრაულ სახელმწიფოში, დაბრუნების უფლება და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ამისთვის მათ საცხოვრებელი სივრცე ესაჭიროებათ. ასე რომ, პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა ისრაელს არ ეხება. იერუსალიმში ყველა აღმსარებლობის ხალხს თავისუფლებას ვაძლევთ, მაგრამ ეს ქალაქი აუცილებლად დარჩება ისრაელის დედაქალაქად, ეს პალესტინელებს მაინცდამაინც არ მოსწონთ, მაგრამ მშვიდობიანი მოლაპარაკებებით ამ საკითხის მოგვარებასაც შევძლებთ.

ღაზიდან და ლიბანიდან გამოვედით. ამას რა მოჰყვა? შედეგად ჩვენი ბავშვების თავზე 12 ათასი რაკეტა მივიღეთ. თუ ისრაელი ტერიტორიას გაათავისუფლებს, ამ ადგილების შეიარაღებაზე კონტროლს დავკარგავთ. იფიქრეთ ამაზე, ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას არანაირი თავდაცვა აღარ ექნება. ისრაელელებს სირენის ხმიდან დაბომბვამდე ისედაც მხოლოდ 60 წამი აქვთ. თქვენ დათანხმდებოდით ასეთ ცხოვრებას?

ჩვენ არ ვართ თანახმა!

ისრაელი მსოფლიოში არცთუ ისე დიდ სახელმწიფოდ ითვლება. 1967 წლის საზღვრებით კი ვაშინგტონის ოლქზე მცირე გახდება. ამიტომაც დაჟინებით მოვითხოვთ პალესტინის სახელმწიფოს დემილიტარიზაციას.

დახმარებას არა მხოლოდ მშვიდობის დამყარებისთვის ვითხოვთ, არამედ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსოფლიო ისევ გაიხლიჩება — ჩვენს არასტაბილურ რეგიონში კი შეიძლება ეს ყოველ წუთს მოხდეს. მოლაპარაკებები მხოლოდ და მხოლოდ მაგიდასთან უნდა მიმდინარეობდეს და არა ცეცხლის ქვეშ. მშვიდობიანი ურთიერთობა ძალით კი არა, ნებითი უნდა იყოს.

,,ჰამასი“ მოლაპარაკებისას ჩვენი პარტნიორი ვერ იქნება, რადგან ეს ორგანიზაცია, ისრაელისა და ებრაელების განადგურებისკენ მოუწოდებს ყველას.

ნეთანიაჰუმ პალესტინის მეთაურს მოუწოდა, უარი თქვას ,,ჰამასთან“ კავშირზე და მშვიდობის დასამყარებლად ისრაელთან მოლაპარაკებები განაახლოს. ამ შემთხვევაში ისრაელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას სიხარულით დაუჭერს მხარს.

„ელბიტის“ 100 მილიონიანი სარჩელი კრემლის გულის მოსაგებად?

რუსეთის მასმედიაში ძალზე საინტერესო ინფორმაცია გამოჩნდა, რომელმაც შეიძლება ნათელი მოჰფინოს ამას წინათ ებრაული ფირმა— „ელბიტის“ მიერ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ 100 მლნ დოლარიანი სარჩელის შეტანის ფაქტს.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის ფედერაციაში „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადეს ისრაელის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ვადიმ ლეიდერმანი და მას 48 საათში დაატოვებინეს რუსეთის ტერიტორია.

12 მაისს მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში ებრაელი პოლკოვნიკი სპეცსამსახურებმა მაშინ დააკავეს, როდესაც რუსეთის მოქალაქეს ხვდებოდა და სავარაუდოდ, მისგან საიდუმლო ინფორმაციას იღებდა.

ზუსტი მიზეზი, რისთვისაც ისრაელის სამხედრო ატაშე „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადეს, ცნობილი არ არის, თუმცა, ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიის თანახმად, ის რუსეთში აქტიურად ლობირებდა ცნობილი ებრაული ფირმა „ელბიტის“ ინტერესებს.

საქმე ის არის, რომ საქართველოსთან ომის შემდეგ რუსეთის არმიის მეთაურობამ დააჩქარა საბრძოლო დანაყოფების აღჭურვა უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავებით, რომელთა კატასტროფულ სიმცირეს განიცდიდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

რუსული წარმოების უპილოტოებით ძალზე უკმაყოფილო მოსკოვმა მათი შეძენა ისრაელში გადაწყვიტა, რომელსაც მსოფლიოში ამ კლასის ერთ-ერთი საუკეთესო პროდუქცია გააჩნია. მოსკოვმა ისრაელის ფირმა IAI-სთან დადო 400 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც ამ ფირმის ორი უპილოტო სადაზვერვო აპარატის (ird Eye 400 და Searcher Mk II) დიდი პარტიის შეძენასა და რუსეთში მათ ლიცენზიით წარმოებას ითვალისწინებს.

ზემოთ ხსენებული ვერსიის თანახმად, ისრაელის სამხედრო ატაშე ცდილობდა, ამ კონკურსში IAI-ს კი არა, სწორედ „ელბიტს“ გაემარჯვა.

„ელბიტის“ პროდუქცია კი, თურმე, რუსეთის მხარემ იმ მოტივით უარყო, რომ ეს ებრაული ფირმა თავის დროზე „ჰერმესის“ ტიპის უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავებით ქართულ არმიას ამარაგებდა, ხოლო „ელბიტის“ მიერ მოდერნიზებული ქართული თ-72შიმ1 ტიპის ტანკები და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები ღ-70-ები 2008 წლის აგვისტოს ომში ცხინვალისაკენ მიმავალ რუსულ ჯავშანკოლონებს ბომბავდნენ...

თუკი ეს ვერსია ახლოა სიმართლესთან, მაშინ შეიძლება გამოითქვას ეჭვი „ელბიტმა“ საქართველოს ხელისუფლებას 100 მლნ დოლარიანი სარჩელი სწორედ მაშინ წარუდგინა, როდესაც რუსეთში წყდებოდა საკითხი, თუ რომელი ებრაული ფირმისგან შეეძინათ უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავები IAI-სგან თუ Elbit Sistems-ისგან. ასეთ რთულ მომენტში (როდესაც წყდებოდა დიდი კომერციული გარიგების ბედი) „ელბიტმა“ თბილისისათვის ასეთი სარჩელის წარდგენით, სავარაუდოდ, სცადა მოეგო როგორც კრემლის გული, ისე 400 მლნ დოლარიანი კონტრაქტი...

გაზეთი „კვირის პალიტრა“, მაისი

რუთის გრაგნილი

თავი პირველი

1. ეს მოხდა მსაჯულთა მსაჯულობის დღეებში, რაჟამს ქვეყანაში იყო შიმშილი, წავიდა კაცი იეჰუდას ბეთ-ლეხემიდან მოაბის ველებზე საცხოვრებლად, -- თვითონ და თავისი ცოლი და ორი ძე მისი.

2. და იმ კაცის სახელი (იყო) ელიმელეხი, მისი ცოლის სახელი – ნაომი, მისი ორი ძის სახელი მახლონია და ქილიონი. ეფრათელნი იყვნენ, იეჰუდას ბეთ-ლეხემიდან. მივიდნენ მოაბის ველზე და იყვნენ იქ.

3. მოკვდა ელიმელეხი, ნაომის ქმარი და დარჩა ის (დედაკაცი) და ორი ძე მისი.

4. და შეირთეს თავიანთთვის ცოლებად მოაბელი (ასულნი): ერთის სახელი იყო ორფა, მეორის სახელი – რუთი. და იცხოვრეს იქ ათიოდე წელი.

5. გარდაიცვალა ორივე – მახლონი და ქილიონი, და დარჩა დედაკაცი თავის ორ ძეთაგან და თავისი ქმრისაგან.

6. ადგა და დაბრუნდა იგი თავისი რძლებითურთ მოაბის ველთაგან, რამეთუ შეიტყო მოაბის ველზე, რომ მოიხსენია უფალმა თავისი ხალხი, რათა მათთვის პური მიეცა.

7. და განვიდა თავისი ორი რძლითურთ იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა და ვიდოდნენ იეჰუდას ქვეყანაში დასაბრუნებლად.

8. და უთხრა ნაომიმ თავის ორ რძალს: წადით, დაბრუნდით თითოეული თქვენი დედის სახლში! უფალმა ქმნას წყალობა თქვენთან, ვითარც თქვენ ჰყავთ გარდაცვლილებთან და ჩემთან!

9. უფალმა მოგაგოთ თქვენ მყუდროება და პოვეთ თითოეულმა (უშფოთველობა) თქვენი ქმრის სახლში. და გადაკოცნა ისინი. მათ კი აღიმაღლეს ხმა და აქვითინდნენ.

10. და უთხრეს მას: მხოლოდ შენთან დავბრუნდებით შენს ხალხთან!

11. უთხრა ნაომიმ: დაბრუნდით, ჩემო ასულნო, რად უნდა წამომყვეთ? განა კიდევ მყავს საშოში შვილნი, რომ გარდაიქცნენ თქვენს ქმრებად?

12. დაბრუნდით, ჩემო ასულნო, წადით! რამეთუ დავბერდი, აღარ ძალმიძს ქმართან ყოფნა. კიდეც რომ ვთქვა: „მაქვს მე იმედი“, ამაღამაც რომ ვიყო ქმართან და ვშვა ძენი.

13. განა თქვენ დაელოდებით მათ, ვიდრე ისინი დაიზრდებიან? განა მათთვის თქვენ დააყოვნებთ, რათა არ გყავდეთ ქმარი? არა, ჩემო ასულნო, რამეთუ გავმწარდი მე ფრიად თქვენგან, რამეთუ გამოწიაღდა ჩემში ხელი უფლისა!

14. და აღიმაღლეს თავიანთი ხმა და აქვითინდნენ კვლავ. და ეამბორა ორფა თავის დედამთილს, რუთი კი მიეკრო მას.

15. და უთხრა: აი, უბრუნდება შენი მაზლის ცოლი თავის ხალხსა და თავის ღმერთს, მიჰყევი შენი მაზლის ცოლის კვალს!

16. უთხრა რუთმა: ნუ მთხოვ შენს მიტოვებას (და) დაბრუნებას შენგან, რამეთუ სადაც შენ წახვალ – (მეც იქ) წამოვალ, სადაც გაათევ, (მეც იქ) გავათევ. შენი ხალხი ჩემი ხალხია, შენი ღმერთი ჩემი ღმერთია.

17. სადაც მოკვდები, (მეც იქ) მოვკვდები და იქ დავსაფლავდები. ასე მომაგოს უფალმა და ასე შემძინოს, რამეთუ სიკვდილი გაჰყოფს ჩემსა და შენს შორის!

18. და რაკი იხილა, რომ იგი ჟინიანობდა მასთან წასვლისთვის, შეწყვიტა ლაპარაკი.

19. და ვიდოდნენ ორნივე, ვიდრე მიადგნენ ბეთ-ლეხემს. და რაჟამს მივიდნენ ბეთ-ლეხემს, შეშფოთდა მთელი ქალაქი მათზე. ამბობდნენ: ნუთუ ეს არისო ნაომი?

20. და უთხრა მათ: ნუ მიწოდებთ მე ნაომის (სიამეს), მიწოდეთ მარა (სიმწარე), რამეთუ ფრიად განმამწარა ყოვლადძლიერმა.

21. სავსე წავედი და ცარიელი დამაბრუნა უფალმა. რად მიწოდებთ მე ნაომის? განმტანჯა უფალმა და ყოვლადძლიერი გამიბოროტდა.

22. დაბრუნდა ნაომი თავის რძალთან, მოაბელ რუთთან ერთად, რომელიც მოაბის ველებიდან წამოჰყვა მას. და ქერის მკის დასაწყისში მოვიდნენ ისინი ბეთ-ლეხემს.

თავი მეორე

1. თავისი ქმრიდან მოკეთე ჰყავდა ნაომის, კაცი მამაცი (და) დიდებული ელიმელეხის საგვარტომოდან და სახელი მისი (იყო) ბოაზი.

2. უთხრა მოაბელმა რუთმა ნაომის: წავალ, გენუკვი, ყანაში და თავთავებს ავკრეფ (იმის) კვალდაკვალ. რომლის თვალშიც სათნოებას ვიპოვნი. და უთხრა მას: წადი, ჩემო ასულო!

3. წავიდა და მივიდა, (თავთავნი) ყანაში აკრიფა მომკელთა კვალდაკვალ. და შემთხვევით ბოაზის ყანის ნაკვეთზე მოხვდა, რომელიც ელიმელეხის საგვარტომოდან (იყო).

4. და აი, ბოაზიც მოვიდა ბეთ-ლეხემიდან და უთხრა მომკელებს: უფალი იყოს თქვენთან! და უთხრეს მას: უფალმა გაკურთხოს!

5. უთხრა ბოაზმა თავის ყრმას, მომკელთა ზედამდგომელს: ეს ყმაწვილი ქალი ვისია.

6. მიუგო ყრმამ, მომკელთა ზედამდგომელმა, და უთხრა: ეს ყმაწვილი ქალი მოაბელია, რომელიც ნაომისთან (ერთად) დაბრუნდა მოაბის ველიდან.

7. და თქვა: ავკრეფ, გენუკვი, და მოვაგროვებ ძნეულებში (თავთავებს) მომკელთა კვალდაკვალო. მოვიდა და დგას განთიადიდან აქამომდე. მცირე (ხანს) დაისვენა სახლში.

8. და უთხრა ბოაზმა რუთს: აწ გამიგონე, ჩემო ასულო, სხვა ყანაში ნუ წახვალ ასაკრეფად. აქედან ნურსად გარდახვალ და აქ შეეთვისე ჩემ ყმაწვილქალებს.

9. შენი თვალნი მიაპყრე ყანას, სადაც ისინი მკიან, და გაჰყევ მათ კვალს. აჰა, ვუბრძანე მე ჩემს ყმაწვილკაცებს, რომ არ შეგეხონ შენ. და თუ მოგწყურდეს, ჭურჭლებთან მიდი და დალიე, საიდანაც ხაპავენ ყრმანი.

10. და პირქვე დაემხო (ქალი) და თაყვანი სცა მიწამდე, და უთხრა მას: რად ვპოვე მე სათნოება შენს თვალთა წინაშე, რამეთუ მიცან და მე უცხო ქალი ვარ.

11. და მიუგო ბოაზმა და უთხრა მას: თხრობით მითხრეს მე, რაც შენს დედამთილს უყავ, შენი ქმრის სიკვდილის შემდეგ: დედა და მამა, შენი სამშობლო ქვეყანა მიატოვე და მოხველ ხალხში, რომელსაც არც გუშინ და არც გუშინწინ იცნობდი.

12. უფალმა მოგაგოს შენი ქმედებისათვის და შენი საზღაური იყოს უფლისაგან, ისრაელის ღმერთისაგან, რამეთუ მოხველ მის ფრთებქვეშ შესახიზნავად.

13. და უთხრა: ვპოვებ კეთილსახოვნებას შენს თვალთა წინაშე, ჩემო ბატონო, რამეთუ მანუგეშე და ესაუბრე შენი მხევლის გულს, და მე შენი მხევლობის ღირსიც არა ვარ.

14. და უთხრა მას ბოაზმა (პურის) ჭამის ჟამს: მოდი და აქ ჭამე პური, და ამოავლე ძმარში ნატეხი შენი. და დაჯდა (ქალი) მომკელთა გვერდით. და მიაწოდა მას მოხალული თავთავნი.

მან ჭამა და გაძღა და კიდეც დატოვა.

15. და (როცა ქალი) ადგა ასაკრეფად, უბრძანა ბოაზმა თავის ყმაწვილკაცებს ამ თქმით: ძნეულთა შორისაც აკრიფოს მან, და მას ნუ გააწბილებთ.

16. და თავთავთა კონებისგანაც გადადევით მისთვის და დაუტოვეთ, და ნუ დატუქსავთ მას.

17. და საღამომდე კრეფდა ყანაში (ქალი) და რაც აკრიფა იგი გალეწა, და იყო თითქმის ეიფა ძნეული ქარისა.

18. და წაიღო და მივიდა ქალაქში. და იხილა მისმა დედამთილმა, რაც მან აკრიფა, და ამოიღო (რუთმა) და მისცა მას ის, რაც თავისი დანაყრების (შემდგომ) დარჩა.

19. უთხრა მას დედამთილმა: სად კრეფდი დღეს და სად მუშაობდი? იყოს კურთხეული შენი მცნობელი! და განუცხადა თავის დედამთილს, ვისთანაც მან იმუშავა, და უთხრა: ბოაზი ჰქვია იმ კაცს, ვისთანაც ვმუშაობდი დღეს.

20. და უთხრა ნაომიმ თავის რძალს: კურთხეულია ის უფლის მიერ, რამეთუ არ მიატოვა თავისი წყალობა ცოცხლებთან და გარდაცვლილებთან. და უთხრა ნაომიმ მას: ჩვენი ახლობელია ეს კაცი, ჩვენი სანათესაოდან არისო ის.

21. თქვა მოაბელმა რუთმა: ისიც მითხრა, ჩემს ყმაწვილქალებთან დარჩი, სანამ დაასრულონო მთელი ჩემი სამკალი.

22. და უთხრა ნაომიმ რუთს, თავის რძალს: კეთილი, ჩემო ასულო, რამეთუ მის ყმაწვილქალებთან გახვალ და სხვის ყანაში არ შეგლახავენ.

23. და მიეკრა (იგი) ბოაზის ყმაწვილქალებს, კრეფდა რა (თავთავებს), ვიდრე დასრულდა ქერის მკა და ხორბლის მკა.

(ასე) ცხოვრობდა (რუთი) თავის დედამთილთან.

თავი მესამე

1. და უთხრა მას ნაომიმ, მისმა დედამთილმა: ჩემო ასულო, აწ მყუდროებას მოვძებნი შენთვის, რომ კეთილი გეყოს.

2. და აი, ბოაზი, ჩვენი მოკეთე, რომლის ყმაწვილქალებთანაც იყავ შენ, აი, ამაღამ ქერს ანიავებს კალოზე.

3. და გაიბანე, (ზეთი) წაიცხე, სამოსელი შეიმოსე და კალოზე ჩადი. არ გამოეცნაურო იმ კაცს, ვიდრე ჭამა-სმა არ დაასრულოს.

4. და რაჟამს დაწვება დასაძინებლად, შეიტყე ის ადგილი, სადაც დაწვება. მიდი. გადახადე ფეხსამოსი და მიუწექი. და ის გეტყვის, რაც უნდა აღასრულო.

5. და (რუთმა) უთხრა მას: ყოველივეს აღვასრულებ, რასაც მეტყვი.

6. ჩავიდა კალოზე და ისე გააკეთა, როგორც დედამთილმა დაარიგა.

7. ჭამა და სვა ბოაზმა, გახალისდა მისი გული და მივიდა ზვინის კიდესთან დასაწოლად. ნელა მივიდა (რუთი), გადახადა მას ფეხსამოსი და მიუწვა.

8. შუაღამე იყო, შეკრთა კაცი, გადაბრუნდა და, აი, ქალი წევს მის ფერხთით!

9. და უთხრა (მას ბოაზმა): ვინა ხარ? და (ქალმა) მიუგო: რუთი ვარ მე, შენი მხევალი! გადმოშალე შენს მხევალზე შენი (სამოსელის) კალთა, რამეთუ ნათესავი ხარ შენ.

10. და (ბოაზმა) თქვა: კურთხეულ ხარ შენ უფლის მიერ, ჩემო ასულო! შენი უკანასკნელი წყალობა პირვანდელზე უკეთესია. ჭაბუკთა კვალს არ გაჰყევი, არც გლახაკს, არც მდიდარს.

11. და აწ ნუ გეშინია, ჩემო ასულო. ყველაფერს აღვასრულებ შენთვის, რასაც კი მეტყვი, რამეთუ ჩემი ხალხის (ქალაქის) ბჭესთან ყოველმა (მდგომმა) უწყის, რომ მადლცხებული ქალი ხარ შენ.

12. და აწ, მე თუმცა მართალია ნათესავი ვარ, მაგრამ ჩემზე ახლობელი ნათესავიც გყავს.

13. გაათიე ეს ღამე და, თუ დილით ის გამოგიხსნის, კეთილი, დაგიხსანას, და თუ შენს გამოხსნას არ ისურვებს, მაშინ მე თვითონ დაგიხსნი, ვფიცავ უფალს. იწექი დილამდე.

14. და იწვა (ქალი) მის ფერხთით დილამდე. და ადგა ადრე, სანამ კაცი თავის მოყვასს იცნობდა. თქვა (ბოაზმა): არავინ შეიტყოს, ქალი რომ კალოზე მოვიდა.

15. და უთხრა (რუთს). მომიტანე მანდილი, რომ გახურავს, და მას ჩასჭიდე ხელი. და მან ჩასჭიდა ხელი, და მიუწყა ბოაზმა ექვსი (საწყაული) ქერის მარცვალი, დაადვა ზურგზე, (თავად კი) ქალაქში წავიდა.

16. და მივიდა (რუთი) თავის დედამთილთან. და მან ჰკითხა: ვინა ხარ, ჩემო ასულო? და (რუთმა) მას მოუთხრო ყოველივე რაც გააკეთა მისთვის იმ კაცმა.

17. და (რუთმა) მას უთხრა: ეს ექვსი (საწყაული) ქერი მომცა, თან მითხრა: ხელცარიელი ნუ მიხვალო შენს დედამთილთან.

18. და უთხრა: დაჯექ, ასულო ჩემო, ვიდრე შეიტყობ, საქმე რარიგ დასრულდება, რამეთუ არ დამშვიდდება ის კაცი, სანამ ეს საქმე დღესვე არ გასრულდება.

თავი მეოთხე

1. და ავიდა ბოაზი კარიბჭესთან და დაჯდა იქ. და აი, მოდის ის ნათესავი, რომელზეც ბოაზი ლაპარაკობდა. და უთხრა: შემოიარე, დაჯექ აქ, მავანო! და (მან) შეიარა, და დაჯდა.

2. და მოიყვანა (ბოაზმა) ათი კაცი ქალაქის უხუცესთაგან და უთხრა: დასხედით აქ. და დასხდნენ.

3. და უთხრა (ბოაზმა) ნათესავს: ჩვენი მოძმის, ელიმელეხის, ყანის ნაკვეთი გაყიდა ნაომიმ, რომელიც დაბრუნდა მოაბის ველიდან.

4. და მე ვთქვი: ვაუწყებ შენს ყურს, ამ თქმით: იყიდე (ნაკვეთი) ამ მსხდომთა

დასასრული მე-8 გვ.

იცნობთ საქართველოს ებრაელობას?

აჰარონ მდინარაძე

— ბატონო აჰარონ, როგორც მოგეხსენებათ, გაზეთი „მენორა“ თავის მკითხველს ხშირად აცნობს იმ ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს ებრაული თემის ცხოვრებაში.დღეს ჩვენი მიზანია მკითხველს ვესაუბროთ თქვენი მოღვაწეობის თაობაზე. გთხოვთ თავად წარუდგეთ მკითხველს.

— მე ვარ აჰარონ მდინარაძე, საბუთებში — არჩილ მდინარაძე. დავიბადე ქალაქ თბილისში 1967 წელს. ჩემი მშობლები არიან თემურ (მოშე-ხაიმ) მდინარაძე (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი)- დღეს თბილისის იეშივის მსმენელი და ტრადიციის დამცველი და ჟუჟუნა (სიმხა) მდინარაძე (ებრაული სკოლის „ტიფერეთ ცვის“ ტრადიციის მასწავლებელი) ვსწავლობდი თბილისის 67-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ— 1984 წელს გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც 1988 წელს წითელი დიპლომით დავამთავრე. სწავლა განვაგრძე ქალაქ მოსკოვში — ასპირანტურაში, დავხურე პირველი კურსი და მერე ყველასთვის ცნობილი 1989 წლის მოვლენების შემდეგ, მე და ჩემმა ოჯახმა , საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტეთ. დავიწყე მუშაობა ჩემი სპეციალობით. მქონდა შემოთავაზება კომერციული ბანკიდან — „გულანი“, სწორედ აქ გავაგრძელე მუშაობა. 1992 წელს კი ეროვნულ ბანკში გადავედი. 1993 წლის ამბების შემდეგ კი ისევ მოსკოვში წავედი და კომერციულ ბანკში დავიწყე მუშაობა. 1994 წელს შევქმენი ოჯახი, —შევირთე დაიანა იაროსლავცევა, იგი ნოვოსიბირსკიდანაა. ერთი წლის შემდეგ შვილიც შეგვეძინა – მოშე-ხაიმ მდინარაძე.

— რამდენადაც ვიცით, ბიზნესიც გქონდათ.

— დიახ, ამ პერიოდში დავიწყე კერძო ბიზნესი, რომელიც დაახლოებით 4 წლის განმავლობაში მქონდა.

1999 წელს ქალაქ მოსკოვში, იეშივაში „თორათ ხაიმ“ ჩემი დეიდაშვილი რაბი ასაელ მირტე და ჩემი ძმა დავით მდინარაძე ჩამოვიდნენ სასწავლებლად, მეც უფრო მეტად დავიწყე ებრაული ტრადიციებითა და რელიგიით დაინტერესება. მანამდე ვიქცეოდი როგორც ჩვეულებრივი ქართველი ებრაელი — დავდიოდი სალოცავში ძალიან იშვიათად ძირითადად ფესახში, როშ-ჰაშანასა და ქიფურში, სიმხა-თორაზე, სიონებზე (9 აბი) და თუ იყო რამე დღესასწაული (ქორნილი, ნათლობა, ბარ-მიცვა) ან ახლობლის გასვენება ან წლისთავი. ჩემი ძმისა და ჩემი დეიდაშვილის ზეგავლენით თავიდან დავიწყე სიარული მოსკოვის დიდ სალოცავში, იქ არის რამდენიმე ჯამაათი, ქართველი, ყუბელი და აშკენაზი ებრაელების. ისე მოხდა რომ პირველად ყუბელი ებრაელების სალოცავში „ბეით თანხუმში“ დავიწყე ლოცვა და აქვე უკვე ერთი წლის შემდეგ პირველად როგორც ხაზანმა ვილოცე როშ-ჰა-შანის და ქიფურის ლოცვები. იმ დროს სალოცავის რაბი იყო ზახარი მათათიაჰუ, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამავე პერიოდში გავიცანი ახალგაზრდა რაბინი, იმ დროს მოსკოვის მთავარი რაბინის ფინხას გოლდშმიტის მოადგილე რაბი ისრაელ ზელმანი, რომელსაც ჰქონდა ებრაული ცენტრი, იქ დავიწყე მუდმივად სიარული და თალმუდის, შულხან არუხის და ხუმაშის შესწავლა. ძალიან ხშირად მთელი ოჯახით დავდიოდით იეშიბაში „თორათ ხაიმ“, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა, სადაც მქონდა ხანგრძლივი საუბრები თორის და რწმენის საკითხებზე რაბი ავიეზერ ვოლფსონთან, რაბი მოშე ლეიბელთან, რაბი ალექსანდერ აიზენშტადთან, რაბი ცვი პატლასთან, რაბი დავიდ კრუგერთან.

— ბეით-ქნესეთში?

— დიახ, 2002 წელს მიმიწვიეს სამუშაოდ ქართველ ებრაელთა ჯამაათში ხახამ აბრაამ ელაშვილთან, მისი დამხმარე (შამაში) ვიყავი. მევალებოდა სალოცავის გაღება და დახურვა, ჯამაათის სამსახური, ლოცვაც თუ საჭირო გახდებოდა. იქ პირველად დავიწყე ჯამაათთან მინხასა და ყარბითს შორის შიურების ჩატარება, ლოცვაში მიხდებოდა ძალიან ბევრი დროის გატარება ამიტომ სწავლა გავაგრძელე დიდ სალოცავში არსებულ ქოლელში „თორა მი ციონ“, რომლის ხელმძღვანელი რაბი დავით ეშუვაევი იყო.

ამავე წელს მოსკოვში გაიხსნა თორის შემსწავლელთათვის დამატებითი კურსები „ნერ ლე ელეფ“, სადაც მე და ჩემს მეუღლეს გვქონდა საშუალება მოგვესმინა რაბი ავრაჰამ ედელშტეინის, რაბი იაყაკოვ ტიპოგრაფის, რაბი მოშე პანტელიატის, რაბი შლომო შაპიროს, რაბი ხაიმ ბურშტეინის დაუვიწყარი ლექციები, ჩემი მეუღლე ასევე დადიოდა ლექციებზე ქალბატონებისთვის გოგონათა სასწავლებელში „ბირკათ იცხაკ“.

2004 წლის დასაწყისში რაბ ავრაჰამ მიხელაშვილმა თბილისში მოგვიწვია. საქართველოში ზუსტად 10 წლის შემდეგ დავბრუნდი. ძალიან საინტერესოა, რომ მთელი ცხოვრება საქართველოში სალოცავის გვერდით ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემი გამჩენის გზაზე დაბრუნება მოხდა მოსკოვში, იქ სადაც სალოცავებისგან ძალიან შორს ვიყავი, ზოგჯერ დაახლოებით 2 საათი მიწევდა სალოცავამდე ფეხით სიარული, ხანდახან მოსკოვის 30 გრადუსიან ყინვებში. ყველაზე ახლოს სალოცავთან ჩვენი ბოლო საცხოვრებელი ადგილი აღმოჩნდა, რომელიც ნახევარი საათის ფეხის სავალზე იყო, მოსკოვის მასშტაბით ეს ძალიან მცირე მანძილად ითვლებოდა.

— რამდენადაც ვიცით, თქვენ და თქვენმა მეუღლემ თბილისში ჩამოსვლისთანავე დაიწყეთ მუშაობა „ორ ავნერის“ სკოლაში.

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მე და ჩემი მეუღლე ვასწავლიდით ებრაულ ტრადიციას ჯერ „ორ ავნერის“ სკოლაში (მაშინ მისი დირექტორი იყო დღევანდელი დიდი სალოცავის გაბაი - თამაზი (მიხეილ) გორელაშვილი), ხოლო 2004 წლის ბოლოს გადავედით სამუშაოდ საგანმანათლებლო ცენტრ „თიფერეთ ცვიში“ და დავიწყეთ იქ გაკვეთილების ჩატარება, ამ ცენტრის ხელმძღვანელი არის საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, ხოლო მისი საქართველოში არ ყოფნის დროს რაბი ავიმელეხ როზენბლატი.

ცენტრის ბაზაზე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ოჯახური კლუბი „მიშფახა“, რომელსაც ვხელმძღვანელობთ მე და ჩემი მეუღლე, მისი კურატორია მაია (სარა) თეთრაშვილი. ჩვენი ორგანიზაცია ატარებს ძალიან ბევრ ღონისძიებას. თავიდან ჩვენ დავიწყეთ ლექციები ქალბატონებისთვის, 2005 წლის იანვრიდან მოყოლებული ყოველ კვირა დღეს 12-დან 14 საათამდე, ლექციებს ძირითადად მე, დედაჩემი და ჩემი მეუღლე ვკითხულობთ, მაგრამ ხშირად ვიწვევთ ადგილობრივ შალიახებს — რაბი ავიმელეხ და იულია როზენბლატებს, რაბი იოსეფ და ხანა მანუშაროვებს, რაბი ასაელ და დიანა მირტეს, რაბი იაყაკოვ და ციპორა დავიდაშვილებს, რაბი ელაიჰუ და მეერა შალიახიშვილებს, ხშირად გვყავს მოწვეული რაბინები ისრაელიდან – რაბი იოსეფ ბროდბეკერი, რაბი იაყაკოვ ბაუმი, რაბი იაყაკოვ ტიპოგრაფი. დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება ქალბატონებს, ებრაულ ოჯახებს, ასევე ვიწვევთ იმ სფეროს წარმომადგენლებს, რომელიც ქალებს აინტერესებთ. მაგალითად: ვიზაჟისტს, კოსმეტოლოგს, დიზაინერს და ა.შ.

2005 წლის თებერვლიდან ჩვენი ჯამაათის წევრების (იოსეფ (სოსო) მოშიაშვილი-დღეს სალოცავ „ბეით რახელის“ გაბაი, შალომ (მერაბ) მესენგისერი, ელიაჰუ-ხაიმ (ნუგზარ) აჯიაშვილის ინიციატივით დავიწყეთ ლექციები მამაკაცებისთვისაც. თავიდან ლექციები კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით გვქონდა. 2007 წლიდან კი ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს ვატარებდით. ვსაუბრობდით თორის საკითხებზე, ტრადიციაზე, ისტორიაზე, ოჯახზე. ვსწავლობთ მიშნების და გემარის ფრაგმენტებს, ორშაბათობით გაკვეთილებს ატარებდნენ რაბი იოსეფ მანუშაროვი, რაბი ავიმელეხ როზენბლატი, რაბი ზევ გრინბერგი, დღესდღეობით ეს მისია იტვირთა რაბი შლომო შაპირომ.

აგრეთვე ჩვენ გვაქვს პროგრამა, სახელით „სტარს“ რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხორციელდება. 15-დან 28 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ვუტარებთ ლექციებს კვირაში ორჯერ თბილისსა და გორში. თბილისში თავიდან ლექციებს ვატარებდით მე და დიდი სალოცავის ხახამი დავიდ აზიზოვი, მას შემდეგ რაც გადავწყვიტეთ ლექციების ჩატარება ცალცალკე ვაჟებისთვის და გოგონებისთვის ლექციებს ვატარებთ მე და დედაჩემი. ვასწავლით ტრადიციებს, ისტორიას, რელიგიას და სხვა საინტერესო საკითხებს. გორში ლექციებს დასაწყისში კითხულობდნენ რაბი იაყაკოვ და ციპორა დავითაშვილი, დღეს ზიზი შაფთოშვილი და ეთერ გიგინეიშვილი.

ჩვენი ცენტრის ტერიტორიაზე ტარდება ე.წ. შაბათონები, რაშიც ძალიან გვეხმარება თბილისის ახალგაზრდული ებრაული ორგანიზაციის „ჰილელის“ ხელმძღვანელი მორის (მოშე-ხაიმ) კრიხელი. თვეში ერთხელ მორიგეობით გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. მოდიან ახალგაზრდები, ვატარებთ შაბათს, ვსაუბრობთ, ვქეიფობთ და ვცდილობთ, რომ მათაც დაიბრუნონ ებრაული ტრადიციები.

ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რომ ჩავატაროთ გასვლითი სემინარები და ბანაკები.

პირველი გასვლა ქალაქ ბაკურიანში გვქონდა 2004 წელს. ბანაკი 100-ზე მეტი ბავშვისგან შედგებოდა.

2005 წელს, ბორჯომში გვქონდა პირველი ოჯახური სემინარი, მშობლები ბავშვებთან ერთად, ის დღეები დღესაც ყველა ოჯახს ახსოვს.

ამის შემდეგ ყოველ წელს ვუკეთებთ ორგანიზაციას ოჯახურ ან ცოლ-ქმრულ სემინარებს, ახალგაზრდების მინი შაბათონებს ან ხანგრძლივ ბანაკებს.

ბოლო ორ წელს კი ხაბადის შალიახებთან (რაბი მეერ და ციპორა კოზლოვსკი და რაბი ბენ-ციონ და რახელ ისრაელაშვილი) ერთად ვაკეთებთ საერთო ბანაკებს – „გან ისრაელ“, რომლებიც ახალგაზრდებს ძალიან მოსწონთ. ჩავდივართ ბათუმში, მწვანე კონცხზე, გვაქვს ძალიან აქტიური ბანაკი, კონკურსები, თამაშები, ვციგურაობთ, ვთევზაობთ, ვერთობით პარკ „ციცინათელაში“ და ძალიან სასიამოვნო დროს ვატარებთ.

ვაწყობთ სუქოთის დღესასწაულს ქალბატონებისთვის და ახალგაზრდებისთვის, წარმოდგენებს და გასართობ საღამოებს ხანუქაში და ფურიმში, ბუნებაში გასვლებს ლაგ ბა ომერზე.

ჩვენი ვარაუდით, ამ ლექციების, სემინარების და ბანაკების შედეგად მინიმუმ 50 ოჯახი დაუბრუნდა ებრაულ ტრადიციებს და დაიწყეს თორის დაცვა, არა წინაპრების გადმოცემით და მათი პატივისცემის გამო, რაც რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, არამედ გააზრებულად და აშემის სახელზე.

ასევე ჩვენ გადავწყვიტეთ ახალგაზრდების გაგზავნა ისრაელში სასწავლებლად. 2008 წლიდან მოყოლებული ჩვენ ამ მიმართულებით მუშობა დავიწყეთ. „სოხნუთის“ (ხელმძღვანელები აბრაჰამ და სიმა ოფირები) დახმარებით ბიჭები და გოგონები ისრაელში გავაგზავნეთ. მათ შორის არის ჩვენი ვაჟიც, რომელმაც კონკურსში, რომელიც ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ ტარდება შმიტის წესებთან დაკავშირებით გაიმარჯვა. იქ ორი კატეგორია არის ერთი - ისრაელში მცხოვრები ებრაელებისთვის, მეორე — ებრაელებისთვის დანარჩენი მსოფლიოდან, ჩემმა ვაჟმა მეორე კატეგორიაში გაიმარჯვა. ეს სერიოზული მიღწევა იყო და ყველას ძალიან გაგვიხარდა.

ვაჟების სკოლასთან „ლეციონ ბერინა“ კონტაქტებში ძალიან გვეხმარება ჩემი დეიდაშვილი – რაბი ასაელ მირტე, ამ წლიდან კი სკოლაში გვყავს ქართველი ებრაელი მადრიხი - მიხეილ ისაკაშვილი, ხოლო გოგონების სკოლაში „ბეით ულპანი“ მოღვაწეობენ ჩვენი მოსწავლე - მადრიხი ლეა სოლომონიშვილი და შუშანა ლევინი — მარატ ლევინის მეუღლე, და მათი დიდი დამსახურებაც იყო,

რომ ახალგაზრდების სასწავლებლად გაშვება მოხდა ისრაელში.

ჩვენ სემინარებზე ლექტორებს ვიწვევთ ისრაელიდან. აქამდე ჩვენთან ბევრი რაბინი იმყოფებოდა, მათ შორის რაბი ხაიმ ქოენი (წარმოშობით გორიდან), რაბი რუვენ პიატიგორსკი, რაბი ცვი კაპლანი მეუღლით, რაბანით ხავა კუპერმანი (რაბი იცხაკ ზილბერის ქალიშვილი)

ასევე გვაქვს ვიქტორინა „რა? სად? როდის?“ რომელსაც 2007 წლიდან ვატარებთ. ბევრი ადამიანი თამაშობს. კითხვები მხოლოდ ებრაულ თემებზეა.

ვცდილობთ ყოველწლიურად გამოვუშვათ კალენდარი ჩვენი ჯამაათისთვის, რომელსაც თვითონ ისინი აფინანსებენ და სადაც ჩვენი ცადიკების წლისთავებთან ერთად, აღინიშნება მათი ნათესავების წლისთავებიც, აგრეთვე მოცემულია ლოცვების დროებიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კალენდარი რიგდება უფასოდ ჩვენს სალოცავებში.

2005 წლიდან მოყოლებული ორგანიზებას ვუკეთებთ „შაბუყოთის“ ღამის ლოცვას და მთელი ღამე თორის სწავლას, ყოველწლიურად მატულობს მსურველთა რიცხვი, ბოლო წელს 100-მდე მამაკაცი და ახალგაზრდა მოვიდა.

2010 წლიდან გადავწყვიტეთ შიდუხების ორგანიზება, ვცდილობთ დავეხმაროთ ებრაელ ახალგაზრდებს, რომ გაიცნონ ერთმანეთი და აშემის დახმარებით შექმნან ებრაული ოჯახები, ამ პერიოდში მოხერხდა სამი ოჯახის შექმნა, ხოლო ამ დღეებში ერთ-ერთ მათგანს მოშე (მაქსიმ) და თამარ იავიჩებს შეეძინათ ვაჟი — ქოენი, რასაც მთელი გულით ვულოცავთ, მაზალ ტოვ!!!.

გვაქვს საიტი Mishpacha-tbilisi.com, სადაც შეძლებისდაგვარად ვაქვეყნებთ ლექციებს ქართულ ენაზე, ქაშერი პროდუქტების სიას, სურათებს ჩვენი ღონისძიებებიდან.

დღესდღეობით ვარ ყოფილი აშკენაზური, ახლა „ბეით რახელის“ სალოცავის ხახამი, ყოველ პარასკევ საღამოს გვაქვს დივრე თორა, სიმხიარულით, სიმღერით და ცეკვით ვხვდებით შაბათს, როშ-ხოდეშს და დღესასწაულებს.

— როგორ აფასებთ დღევანდელი საქართველოს ებრაელობას?

— დღეს საქართველოში ებრაელობა ძალიან მცირდება. უმეტესობა ისრაელში მიდის საცხოვრებლად. რაც შეეხება იმ ხალხს, ვინც აქ რჩება „ჯოინ-

თის“ დახმარებით მათი ებრაელობა უფრო და უფრო ძლიერდება. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს მინიმუმ 100 ოჯახთან, შეიძლება უფრო მეტთანაც, ეს არასოდეს დაგვითვლია. თუ ვინმეს შეკითხვები აქვს თორასთან დაკავშირებით ვპასუხობთ მათ თუ ვიცით, თუ არა ვეკითხებით უფრო გამოცდილ რაბინებს ისრაელში და ვატყობინებთ პასუხებს.

ჩვენი ჩამოსვლისთანავე საქართველოს ებრაელობასთან სამი ძირითადი მიმართულებით ვმუშაობთ ეს არის: შაბათის, ქაშრუთის და ოჯახური სიწმინდის წესების დაცვა.

ამის გარდა, ჩვენ როგორც წინაპრებისგან ვიცით აშემმა სამი დამსახურების გამო დაგვიხსნა მიცრაიმიდან, ეს არის: ენა — ივრითი, ჩაცმულობა – დღეს მამაკაცებისთვის ეს არის ქუდი და ციციტი, ხოლო მანდილოსნებისთვის ტანის და გათხოვების შემდეგ თმების დაფარვაც, მესამე — ეს არის სახელები, ერთმანეთს ებრაული სახელები უნდა დავუძახოთ. ყველა ებრაელს აქვს ებრაული სახელი, მაგრამ ერთმანეთს ამ სახელებს, სამწუხაროდ, არ ვეძახით.

ჩვენს ინტერვიუშიც შეამჩნევდით, რომ ბევრ ადამიანს ორი სახელით ვიხსენიებთ, ვცდილობთ ეს საკითხებიც წამოვწიოთ ჩვენს ჯამაათში.

ვცდილობთ ყველა ძალა ვიხმაროთ, რომ აშემის დახმარებით ჩვენს ჯამაათში იყოს მშვიდობა, ერთმანეთის სიყვარული და დახმარება, პატიება და პატივისცემა, რომ ერთიანი ძალებით შევიტანოთ წვლილი მაშიახის მობრძანებაში.

— თქვენი მომავალი გეგმები?

— გავაგრძელოთ აშემის დახმარებით თორის შესწავლა, დღეს მე ამას ვაკეთებ რაბი შლომო შაპიროსთან ერთად ყოველდღე დილის ლოცვის წინ, რა თქმა უნდა, შაბათის და დღესასწაულების გარდა, მოვიზიდოთ უფრო მეტი მსმენელი ჩვენს ლექციებზე და დავაბრუნოთ გამჩენის გზაზე, უახლოეს მომავალში აშემის დახმარებით მრავალრიცხოვანი თხოვნის გამო ვაპირებთ პირველად ქართულ ენაზე გამოვცეთ ერთ წიგნში სამი ებრაული ლოცვის ტრანსლიტერაცია, თარგმანი და კომენტარი. აგრეთვე ზაფხულში ტრადიციულად გვექნება მინი სემინარები ახალგაზრდებისთვის 16-დან 28 წლამდე, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე ვაჟებისთვის და გოგონებისთვის — ებრაული ოჯახების შექმნის თემაზე.

— დიდი მადლობა.

ესაუბრა ნინო შავაძე

გია ბულაძე: „ეს კი შენი გამარჯვებაა“

ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ებრაელი მხატვარი რომან კრიხელი
საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ჩინებულ ტილოს ჩუქნის.

23 მაისს თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ებრაელი მხატვრის რომან საიმონ კრიხელის ფერწერის გამოფენა. პირველი სიტყვა თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბულაძემ თქვა.

ბ-ნი გია ბულაძე მიესალმა ჩინებული მხატვრის, სამხატვრო სასწავლებელში მისი ჯგუფელის რომან კრიხელის საქართველოში სტუმრობას, ხაზი გაუსვა მის შემოქმედებით ინდივიდუალობას და იმასაც თუ როგორ დაინტერესდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტ-ახალგაზრდობა რომან კრიხელის შემოქმედებით. „ეს კი შენი გამარჯვებაა“ მიმართა მან მხატვარს. გია ბულაძემ გააჟღერა რომან კრიხელის გადაწყვეტილება ერთი ტილო — „მეტატრონი“ აჩუქოს საქართველოს ხელოვნების მუზეუმს.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ დამსწრეთ გაუზიარა ნახატებისგან მიღებული შთაბეჭდილება, ისაუბრა მხატვრის შემოქმედებით თავისებურებაზე, მხატვარს მადლობა გადაუხადა ძვირფასი საჩუქრისთვის და დასძინა:

— მსოფლიოს ცნობილი მუზეუმები მდიდარი მეცენატების მეოხებით არიან აღიარებულნი. ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთი მეცენატები არა გვყავს, ამიტომ სწორედ მხატვრების მიერ ნაჩუქარი ტილოებით ვმდიდრდებით. დიდი მადლობა ამ მშვენიერი საჩუქრისათვის ბატონ რომანს.

მწერალი, დრამატურგი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების,“ გაზეთ „მენორას“ რედაქტორი გურამ ბათიაშვილი მიესალმა მხატვრის თბილისში სტუმრობას და აღნიშნა:

— გავეცანი აქ წარმოდგენილ მშვენიერ ნახატებს, გავიცანი ჩინებული შემოქმედი, როგორც აქ მითხრეს, იგი ერთ-ერთი პირველი გაემგზავრა საქართველოდან. მიახლოებით მაინც ვიცი, თუ რას ნიშნავს რეპატრიაცია, რა სირთულეები ახლავს ემიგრანტის ყოფას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბატონმა რომან კრიხელმა ძალიან რთული, მძიმე გზა გაიარა, მაგრამ მის ნახატებში მაინც იგრძნობა ქართული ფერწერის სკოლა.

რომან კრიხელის მიერ გამოფენაზე წარმოდგენილ ნახატებზე ისაუბრეს მხატვრებმა რედიშ თორდიამ, გოგი ლაზარიშვილმა, აკადემიის დეკანმა დავით ალექსიძემ.

გამოფენის გახსნაზე თბილისის ებრაული თემის წევრებიც მოვიდნენ.

„მენორას“ რედაქცია დაინტერესდა ბ-ნი რომან კრიხელის შემოქმედებითი ცხოვრების დეტალებით და შეხვდა მას.

— ბატონო რომან, რა არის თბილისში თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

— ჩემი ჩამოსვლის მიზანი პირველ რიგში გახლდათ ის, მენახა, საქართველო, თბილისი სადაც დავიბადე და გავიზარდე. ასევე ჩემი ნამუშევრები გადავეცი საქართველოს მუზეუმებს ბათუმში, ქუთაისში, ფოთში. თბილისის მუზეუმს კი ზემოთ ნახსენები „მეტატრონი“ ვაჩუქე. სურვილი მქონდა, ჩემი შემოქმედების ნაწილი საქართველოში დარჩენილიყო.

— როგორ მიიღო დამთვალიერებელმა თქვენი ნამუშევრები, თქვენს შემოქმედებას ალბათ, აქამდეც იცნობდნენ..

— ზოგიერთი იცნობდა, მთლიანობაში როგორც საჭირო იყო, ისე მიიღეს. პირადად მე ძალიან გახარებული და კმაყოფილი დავრჩი.

— ბატონო რომან, გვიამბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ...

— დავიბადე ქალაქ თბილისში, 17 წლის ასაკში წავედი ჯერ ისრაელში, შემდეგ ორი წელი იტალიაში ვცხოვრობდი, იქ ველოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ნებართვას. და ბოლოს ნიუ-იორკში გადავედი საცხოვრებლად. მას შემდეგ 37 წელი გავიდა და აი, საქართველოში პირველად ჩამოვედი. აქაურობა ძალიან მენატრებოდა. მესმოდა, რომ თბილისი ძალიან შეცვლილაო, ცვლილებები ნამდვილად ბევრია, განსაკუთრებით კი იმ უბანში, სადაც დავიბადე, მაგრამ უბნის სულისკვეთება ისევ ისეთია, ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული ცვლილება შევნიშნე. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ის დროც მოვიდა, როდესაც უნდა ჩამოვსულიყავი და ჩამოვედი კიდეც.



— რამდენი წლის იყავით, როდესაც მხატვრობით დაინტერესდით?

— ძალიან ადრე, სამი წლის. ყოველთვის ვხატავდი, იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვსწავლობდი, სამწუხაროდ, ვერ დავამთავრე, რადგან საზღვარგარეთ წასვლა მომიწია. ყოველთვის ვმუშაობდი. იტალიამ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბავშვობიდანვე გატაცებული ვიყავი იტალიური ხელოვნებით, განსაკუთრებით რენესანსის ეპოქით, გამაოგნებელი სანახაობაა, როდესაც ამ ყველაფერს საკუთარი თვალებით ხედავ, ჩემთვის ეს დიდი სკოლა იყო, დღემდე ასეა. ხელოვნება უსასრულობაა, და ყოველთვის რაღაცას ვსწავლობ განსაკუთრებით იტალიური ხელოვნებიდან.

— იტალიის ნახვამ თქვენს შემოქმედებაში გარდატეხა მოახდინა?

— რა თქმა უნდა! ჩემთვის ხელოვნების ტექნიკური მხარე, ოსტატობა ძალიან მნიშვნელოვანია, შეიძლება ხელოვანს საინტერესო იდეები ჰქონდეს, მაგრამ ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი ფერწერაში, თუ ტექნიკას არ იყენებ, იმ შენს იდეებს ვერ განახორციელებ — სრულყოფილებას ვერ მიაღწევ, საერთოდ სრულყოფილება ძალიან ვრცელი თემაა, მაგრამ ვფიქრობ, გარკვეული ნორმა, გარკვეული ხაზი არსებობს, სადამდეც შეგვიძლია მივიდეთ. ამ შემთხვევაში დამთვალიერებელი კმაყოფილებას განიცდის, რომ ხელოვნება სრულყოფილებამდეა მისული.

— თქვენ შემოქმედებას როგორ შეაფასებთ სრულყოფილებამდეა მისული, თუ ჯერ კიდევ აკლია რაღაც?

— მე ასე ვიტყოდი, ჩემთვის პირადად ჯერ აკლია, და ალბათ, ყოველთვის აკლდება. შეიძლება გარკვეულ დონეს მიუახლოვდე, მაგრამ შემდეგ უფრო ზემოთ გინდა ასვლა, ხელოვნება უსასრულობაა. და საერთოდ ცხოვრებაც უსასრულობაა, ადამიანებმა კი უნდა ვიცოდეთ სად შევჩერდეთ.

— ბატონო რომან, რა ადგილი უჭირავს ებრაულ თემას თქვენს შემოქმედებაში?

— ვფიქრობ, დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს ძალიან განსხვავებულად გამოიხატება. ტრადიციულად, მიაჩნიათ, ებრაული თემა არის მაშინ, როცა ტილოზე ბევრია ებრაული სიმბოლოებია. მე ეს გზა არ მიზიდავს, ჩემს ხელოვნებაში ეს ნაკლებადაა. თუმცა, ჩემს შემოქმედებაში არის ებრაული სული, ყოველთვის ძალიან გატაცებული ვიყავი ებრაული მისტიციზმით, კაბალით, ამ ელემენტებს ჩემს ნამუშევრებში ყოველთვის ვაერთიანებ. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან თვალსაჩინოდ, გამოკვეთილად არ აღიქმება, ზოგიერთი ნამუშევრის გასაგებად მეტი დაკვირვება და ჩემი ახსნაც საჭიროა ხოლმე.

— თქვენი ნამუშევრები რთული გასაგებია?

— ყველა არა, თუმცა, მაქვს ნამუშევრები, რომლებიც ნამდვილად რთულია გასაგებად.

— საერთოდ ასეთი ნამუშევრები უფრო ფასობს?

— ამას ვერ ვიტყვი, ვფიქრობ ორივე თავისებურად საინტერესოა, შემდეგ ეს უკვე მაყურებელზეა დამოკიდებული, ვინ როგორ აღიქვამს და ვის როგორ მოეწონება.

— კაბალა ახსენეთ, კაბალას, თალმუდს, ძველ აღთქმას რა ადგილის უთმობთ, ცხოვრებაში, შემოქმედებაში?

— ვფიქრობ, ძალიან დიდი... არა მარტო კაბალით, არამედ აზიური მისტერიული თეორიებით, ბუდისტური მეცნიერებებით ყოველთვის ვიყავი გატაცებული, მაგრამ ჩემთან ყველაზე ახლოს მაინც იუდაისტური ფილოსოფიაა. მაგალითად ნამუშევარი, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადავეცი საჩუქრად „მეტატრონი“, ალეგორიული და სიმბოლისტური ხასიათისაა. მთავარი ფიგურა, მთავარი გამოსახულება არის „მეტატრონი,“ ძალა, რომელიც იცავს უსასრულობას და ჩვენს სამყაროს, ეს არის ზღვარი დროებითსა და უსასრულობას შორის. ძალა, რომელსაც „მეტატრონი“ ქმნის, იცავს უსასრულობას, რომ არ გაერთიანდეს და სიცოცხლე რომ არ გაქრეს. ძალიან საინტერესოა. როდესაც კაბალის სწავლას იწყებ, ხვდები, რომ ძალიან პატარა ხარ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კაბალის შესწავლა მხოლოდ თეორიულად არ კმარა, იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა განახორციელო. ხელოვნებაში ამ ყველაფრის გამოსახვა ძალიან საინტერესოა.

— რამდენი ხნის განმავლობაში მუშაობთ ერთ ნამუშევარზე?

— თემას გააჩნია, მაქვს ნამუშევრები, რომლებსაც ერთი წელი ვხატავდი. მაქვს ნამუშევრები, რომლებიც ორ დღეში, ერთ თვეში გამიკეთებია, სათქმელს

გაგრძელება მე-8 გვ.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

ბეჰაალოთხა

კვირის საკითხავი თავის დასაწყისში რაში კითხულობს, თუ რატომ იწყება ეს თავი მენორის ანთების მცნების აღწერით, მაშინ, როცა მისი წინა თავი მთავრდება ტომის მეთაურთა მიერ მსხვერპლთშეწირვის აღწერით? ეს იმიტომაა, რომ აჰარონო განაწყენდა, როცა არც მან და არც მისი ტომის წარმომადგენლებმა მსხვერპლთ შესაწირად არაფერი მიიტანეს მიშქანის (გადასატანი ტაძრის) კურთხევის დღეს.

გამჩენმა მას უთხრა: „შენი წილი უფრო დიდია ვიღრე მათი, რადგანაც შენ ანთებ მენორას და სანთლებს ასწორებ. რამბამი კითხულობს: „რატომ არ დააწყნარა გამჩენმა აჰარონი სხვა სახით? მას ხომ მრავალი მცნება აქვს: კტორეთს (აღსაკმევი შენაზავი) აღკმევდა და იომ ქიფურში წმინდათა წმინდაში მხოლოდ ის შედიოდა? პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ მენორის ანთება ეს მაღლიერების გამოხატვაა და მისი მსგავსი სამსახური ტაძარში არ ყოფილა. გამჩენმა უთხრა ებრაელებს: „გამინათეთ მე ისევე, როგორც მე გაგინათეთ თქვენ“. არის ასეთი იგავი, თუ როგორ სთხოვა თვალხილულმა ბრმას, რომელიც თავად მიჰყავდა, აენთო მისთვის სანთელი, რათა ბრმა მის ვალში არ ჩავარდნილიყო, თუმცაღა თვალხილულს ეს სინათლე არ სჭირდებოდა, ის ისედაც კარგად ხედავდა. (ასევე სთხოვს გამჩენი ებრაელებს აანთონ მენორა, თუმცაღა ტაძარში სინათლე ისედაც იყო. მაღლიერების გამოხატვა კი საჭირო იყო იმისათვის, რომ გამჩენი მათ გზას უღაბნოში უნათებდა).

ომის პერიოდში რაბი ორენშტეინმა ამანათი გაუგზავნა რაბი ვაიდენფელდს ჩეკინში, რუსეთში. ომის შემდეგ ვაიდენფელდმა მას მაღლობის წერილი გაუგზავნა.

რაბი ლაუ დღემდე ეძებს იმ ადამიანებს, რომლებიც მას სკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას ეხმარებოდნენ. დღევანდელ დღესაც არ უნდა დაგვავიწყდეს მაღლობის მოხდა, მათ შორის მეუღლისთვისაც. ამით ძალზე ბევრ უსიამოვნებას ავიცილებთ თავიდან. და ეს სრულიადაც არ არის უმნიშვნელო რამ, ასეთი უმნიშვნელობებით „შენდება“ დიდი ადამიანი.

და რით უკეთესია დახმარება – საკვებით თუ სხვა რაიმეთი? მოგიყვანთ ერთ მაგალითს: რაბი ზიბერშტეინს ჰკითხეს: „ ერთ რაიონში ცხოვრობს წმინდანი გერი (ადამიანი, რომელმაც მიიღო ებრაელობა), ის ძალიან დარიბია. რის ჩუქება უკეთესია მისთვის დღესასწაულზე საკვების თუ სხვა რაიმესი, მაგალითად ელექტრო მოწყობილობის, ან სარეცხი მანქანის?

თორის წიგნში „დვარიმ“ გამჩენის შესახებ ასე წერია: „და უყვარს უცხოსათვის პურის მიცემა...“ რაში გვეუბნება, ძალზე მნიშვნელოვანია, როცა იაკობი ლოცულობდა: „მომეცი მე პური საჭმელად“. და გვიხსნიან „სიფრეი ხახამიმ“-ები: „ არ იფიქრო, რომ ეს პატარა რამაა – მისცე გერს (უცხოელს) პური და ტანსაცმელი.

მოგიყვანთ კიდევ ერთ პარალელს. გემარაში „სუქა“ არის დავა ადასის (მირტის) შესახებ, ის კიდევ ერთი სახელით – ავოთ მოიხსენიება, რაბი იეჰუდასა და რაბი კატანა ახის რაბინის მოსაბრებებზე. რავას შვილი ამბობს, რომ მისთვის ჰალახა რაბი კატანას მიხედვითაა, რადგანაც ეს მისი პირითაა ნათქვამი. ჩვენც ასევე ვიტყვით, რომ გერს უნდა მივცეთ საკვები და ტანსაცმელი, რადგანაც ეს ითქვა მოშე რაბეინუს პირით გამჩენისაგან: „და როცა თქვენთან იცხოვრებს უცხო“.

საიდან აქვთ გერებს ასეთი დიდი სიწმინდე? აბრაჰამ ბენ აბრაჰამი (გრაფი პოტოცკი), რომელმაც დატოვა საკუთარი სახლი და ებრაელობა მიიღო ვილნოში კოცონზე დაწვეს შასუოთის მეორე დღეს და მან კაბალის დახმარებით გადარჩენაზე უარი განაცხადა. ხაფეც ხაიმმა განგვიმარტა, რომ როცა გამჩენი თორას სხვა ხალხებს სთავაზობდა, მათი უმრავლესობა უარს ამბობდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მზად იყვნენ თორის მისაღებად. სწორედ მათი სულებია იმ არაებრაელთა სულებში, რომელნიც ლებულობენ გიურს.

მინდა დავამატო, რომ იმ ებრაელთა შორის, ვინც განაცხადა „შევასრულებთ და მოვისმენთ“, იყვნენ ისეთებიც, ვისაც არ ჰქონდა თორის მიღების სურვილი. სწორედ მათგან მივიღეთ საკუთარი რწმენის უარმყოფელნი. ვილენის გაონს ჰყავდა თორის უარმყოფელი მოსწავლე. მას ვაჟი შეეძინა და სულ ცოტა ხანში გარდაიცვალა. გაონმა დასამშვიდებლად უთხრა მას, რომ მის ვაჟს წმინდა გერის სული ჰქონდა.

რაბი ფაინშტეინი ამბობდა, რომ გიურის წინა შაბათს გერ ცელეკი (წმინდა გერი) ადგილს ვერ პოულობდა, რადგანაც ის დიდი სულის მატარებელი იყო, ის გრძნობდა ამას, მაგრამ ვერ ხვდებოდა, თუ რას გრძნობდა. როცა ვილენის გაონის ცხედარი გადაასვენეს, მასთან ერთად გადაასვენეს გერ ცელეკის – გრაფ პოტოცკის ცხედარიც. ის, ვინც შეეხო გაონის ცხედარს, ერთი წლის განმავლობაში გარდაიცვალა.

არის კიდევ ისტორიაში დიდი გერი, ან უფრო სწორად გიორეთი – რუთი. რატომ დაარქვეს მას რუთი? იმიტომ, რომ დავითი მისი შთამომავალი იყო, „შერუხუ“ (ის, ვინც გამჩენს განადიდებდა). მისი სახელის გემატრია (რიცხობრივი მნიშვნელობა) 606-ია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნოახის შვილთა მცნებებს რუთმა 606 მცნება დაუმატა. მას უნდა ერქვას „თორუ“ (იგივე ასოებია, მხოლოდ სხვა თანმიმდევრობით), რადგანაც მან მიიღო თორის მცნებები, სწორედ ამიტომ მას ჰქვია – რუთი.

ამერიკელი ებრაელებს ისრაელი აყვართ?

„რწმენა დამწყებთათვის“ ასე ჰქვია აარონ ჰამბურგერის, ახალგაზრდა ებრაული წარმოშობის მწერლის რომანს, რომელიც ამერიკელი ებრაელების ისრაელთან წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს.

ისრაელში რამდენიმე კვირის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ ჰამბურგერმა დაწერა რომანი.ისრაელში იგი მოზარდობის პერიოდში ნათესავების მოსანახულებლადაც იმყოფებოდა. რომანი არ ეხება ისრაელსა და ისრაელელებს, ეს არის ამერიკელის წიგნი, ამერიკელი ებრაელების შესახებ. ავტორმა თქვა: „ისრაელი შესანიშნავი ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ, ჩრდილოეთ ამერიკელებმა უნდა ვაღიაროთ, რომ აქ ჩამოსვლას არ ვაპირებთ, აქ ჩენი ადგილი არ არის.“

რატომ — „ჩვენი ადგილი არ არის?“ რატომ არ არის ადგილი „ყველა ებრაელისთვის?“

ჰამბურგერს თავის სკეპტიციზმი არ დაუმალავს. „ვფიქრობ, უნდა განვასხვავოთ ის მიწა, რომელსაც ღმერთი აბრაამს დაპირდა, თანამედროვე ისრაელისგან“ — ამბობს იგი.

რა თქმა უნდა, ჰამბურგერი „გაღიზიანებული ლიბერალების“ რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც წმინდა წიგნებს არასერიოზულად უყურებენ და წმინდა მიწაზე დაბრუნების იდეა სხვანაირად წარმოუდგენიათ.

ნიგნში „ებრაული დიასპორის დასასრული“, ორი სწავლული ამტკიცებს, რომ ისრაელი არ არის ის აღთქმული მიწა, რომელზეც საუბარია თანახში. მათი სიტყვებით, თანამედროვე ებრაელებს ისრაელის სახით „ცენტრი“ არ გააჩნიათ და ებრაელი ხალხის ცხოვრებაში ისრაელს წამყვანი როლი ვერ ექნება.

ისრაელში ებრაელი ხალხის კონფერენციისათვის მომზადებულ სამუშაო მასალებში „იდენტურობა, ასიმილაცია, განუწყვეტლობა“ პროფესორები სერხიო დელა პერგოლა და ხაიმ ვაქსმანი ხაზს უსვამენ არა ამერიკელი ებრაელების ისრაელისადმი მხარდაჭერას (82%), არამედ იმ ფაქტს, რომ ამერიკელი ებრაელების მხოლოდ 28% მიიჩნევს თავს „სიონისტად“. ეს რაოდენობა კი ნელ-ნელა კიდევ უფრო მცირდება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. ამავდროულად ა.შ.შ.-სა და კანადელი ებრაელების თვალში მცირდება ისრაელის მნიშვნელობაც.

ეს ყველაფერი ისრაელისთვის უსიამოვნო სიახლეებია: ისრაელელები რთულად იღებენ იმ ფაქტს რომ, ამერიკელი ებრაელები სიონიზმს შორდებიან.

ებრაული საზოგადოების ყოფილმა პრეზიდენტმა სტივ ჰოფმანმა ისრაელთან თავისი დამოკიდებულება ასე ახსნა: „არ ვიცი ვარ თუ არა მზად, რომ ისრაელი ებრაული სამყაროს ცენტრად ვაღიარო“.

პირადად მე დარწმუნებული არ ვარ, რომ ისრაელში სწვდებიან მიმდინარე პროცესების სიღრმეს. ისრაელისა და ჩრდილოეთ ამერიკის ებრაელები არა მხოლოდ ძმები, არამედ როგორც პოლიტიკურ, ასევე სულიერ საკითხში გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთის მოწინააღმდეგენიც არიან. ეს გვაიძულებს ვიფიქროთ, თუ როგორ განვითარდება ურთიერთობა ორ „ებრაულ სამყაროს“ შორის. 2010 წელს „სოხნუთის“ მეთაურმა ნათან შჩარანსკიმ გადაწყვიტა შეცვალოს ებრაული სააგენტოს სისტემის პრიორიტეტები: წინ წამოსწია არა გაერთიანების, არამედ ებრაული იდენტიფიკაციის საკითხი. ამის შედეგად „სოხნუთის“ მიზნად აღარ ითვლება ჩრდილოეთ ამერიკის ებრაელების რეპატრიაცია.

რა არის კარგი ებრაელებისთვის? ამერიკელი ებრაელების მხოლოდ მცირე ნაწილია ისრაელისგან განდგომის სურვილით შეპყრობილი. ეს შეპყრობილობა 2005 წელს ჰიუსტონში გამართულ რეფორმისტული ჯგუფის ლიდერების შეკრებაზე გამოვლინდა, სადაც სიონისტური მოძრაობის იდენტიფიკაციის საკითხზე მსჯელობდნენ. „რეფორმისტული სიონიზმი — რელიგიური სიონიზმია“ — თქვა ჩიკაგოელმა ირა იუდოვინმა. „აუცილებელია რეფორმისტული სიონიზმი უფრო სულიერი გახდეს“ — განაცხადა ჯეფ ზალკინმა ატლანტიდან. არც ერთი მათგანი არ მალავდა ისრაელისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას. ეს არც არის გასაკვირი, შეხვედრაზე რამდენიმე ათეული ადამიანი მოვიდა, მაშინ როდესაც კონფერენციის მონაწილეების რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევდა. შეკრებილი საზოგადოებისთვის კი ისრაელსა და მის პრობლემებს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

გამომსვლელები ამერიკის ებრაელებს შორის ჩატარებულ გამოკითხვებზე საუბრობდნენ. ებრაული იდენტიფიკაციის ძლიერი გრძნობა ორთოდოქსული ებრაელების 91% აქვს, კონსერვატიული მოძრაობის მომხრეებში 74%, ხოლო რეფორმისტებში 56%.

შეგვიძლია გავიგოთ მათი დამოკიდებულება ისრაელის მიმართაც: ორთოდოქსებს შორის ებრაული სახელმწიფოს პატრიოტად თავს 68% მიიჩნევს, რეფორმისტებს შორის კი მხოლოდ 21%. ზალკინის სიტყვებით, რეფორმისტული საზოგადოების წევრები სულ უფრო ამერიკელები ხდებიან.

შეხვედრის ბოლო ნაწილი, იუდოვინის სიტყვებით, ისრაელის იმიჯს მიეძღვნა. ამასთანავე შეკრებაზე ამ ქვეყნის არც ერთი წარმომადგენელი არ იყო მიწვეული და არც ისრაელის პოლიტიკის განმასხვავებელ ასპექტებზე უსაუბრიათ. ეს საკითხი შეკრების ორგანიზატორებისთვის უინტერესო გამოდგა.

რაც შეეხება კონფერენციაზე ჩასულ ზოგიერთ ისრაელელს, მათ შემოწირულობის რაოდენობის გაგების გარდა, სხვა ინტერესი არ ჰქონიათ. მაგრამ რეფორმისტ ლიდერებს ისრაელისთვის არაფერი გადაუციათ. მათ სულ სხვა საკითხები ანაღვლებდათ. „როგორ ვმართოთ საზოგადოება უკეთესად? უფრო ეფექტური გავხადოთ ინტერნეტის გამოყენება, აღმოვუჩინოთ დახმარება მოხუცებს“.

საღამოს, როდესაც რელიგიურ სიმღერას „ძალიან ვიწრო ხიდი“ უსმენდნენ მონაწილეები ნერვიულად წრიალებდნენ სკამებზე და ზოგიერთი მათგანი ტექსტსაც ბურტყუნებდა, მაგრამ აღფრთოვანებას არავინ გამოხატავდა. ეს გასაგებიცაა, როდესაც 2-3 ათას დოლარს ხარჯავ, რათა დრო გაატარო ისეთ სასიამოვნო ადგილას როგორიც ჰიუსტონია, არ მოგინდება დრო სიმღერაში ტყუილად ხარჯო.

რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, დღის განრიგში ორი მათგანი იდგა: მოვიდა თუ არა დრო, რომ რეფორმისტებმა ერაყში მიმდინარე მოვლენებზე თავისი აზრი დააფიქსირონ, და გამოთქვან თუ არა აზრი მოსამართლის — სამუელ ალიტოს უზენაეს სასამართლოში დანიშვნის შესახებ.

რაც შეეხება ერაყს, მხარი დაუჭირეს ქვეყნიდან სამხედრო ჯარების ჩქარი ტემპით გასვლას. საინტერესო უფრო შემდეგი ფაქტია: ლოურენს კაპლანი Wall street Journal –ში წერს: „ისეთი წარმოდგენა შეიქმნა თითქოს რეფორმისტ ებრაელებს აწუხებთ კითხვა „რა არის კარგი ებრაელებისთვის?“, არამედ კითხვა „რა არის კარგი ამერიკული ლიბერალიზმისთვის?“ ერაყიდან ა.შ.შ. –ს გასვლას შეიძლება ისრაელისთვის უარყოფითი შედეგები მოჰყვეს, მაგრამ ერთი მხრივ, როდესაც საქმე ეხება ებრაელების უსაფრთხოებას და მეორე მხრივ, ლიბერალურ ღირებულებებს, რეფორმისტები მეორე მხარეს აირჩევენ. „იუდაიზმის მოდურ ელემენტად შენარჩუნება მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთოდ იუდაიზმი.“

კაპლანის სტატიის პასუხად, რედაქციაში რეფორმისტი რაბინის ერიკ იოფსის წერილი მივიდა. „ერაყში საომარი მოქმედებები არც ამერიკელების ინტერესებში შედის და არც ებრაელების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს“ — ამტკიცებს იგი. მისი სიტყვებით, ამერიკული კონტინგენტის ერაყში ყოფნა, ასუსტებს ა.შ.შ.-ს პოზიციას ირანის ბირთვულ მუქარაზე.

კაპლანი მართალია, როდესაც ამბობს, რომ რეფორმისტები გადაწყვეტილებების მიღებისას ისრაელის ინტერესებს უმთავრეს პოზიციაზე არ აყენებენ. ამასთან ერთად, რეფორმისტებიც მართლები არიან, როდესაც ისრაელი ამერიკას თხოვს მისთვის საჭირო პოლიტიკა ა.შ.შ.-ს ინტერესებზე მაღლა დააყენოს, ეს განცხადება ამტკიცებს მითს ამერიკელი ებრაელების „ორმაგი ლოიალურობის შესახებ“.

ბოლო წლებში ისრაელელებსა და ამერიკელ ებრაელებს ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ყოფნა ახასიათებთ. ბევრი პოლიტიკური პრობლემის დროს ყოფილი მოკავშირეები ერთმანეთის მოწინააღმდეგენი ხდებიან. ამავდროულად ორ სახელმწიფოს შორის დაძაბული ურთიერთობის განვითარებაში ბევრი ისრაელელ პოლიტიკოსებს ადანაშაულებს.

ამერიკელი ებრაელებისა და ისრაელის პოზიციებს შორის სხვაობა ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს კიდევ უფრო გაიზარდა.

ბევრი ისრაელელი თვლიდა, რომ იგი მათთვის ერთ-ერთი საუკეთესო ა.შ.შ.-ს პრეზიდენტი იყო, მაშინ როდესაც ამერიკელ ებრაელებს იგი არ მოსწონდათ.

2007 წლის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ისრაელელების უმრავლესობა ბუშისადმი სიმპატიით არის განწყობილი, ამერიკელი ებრაელები კი ამ შემთხვევაში არა ისრაელელების, არამედ ევროპელებისა და ლიბერალური ბანაკის პოზიციაზე იდგნენ.

ბოლო პერიოდში თვალს ვადევნებთ არა ისრაელისა და ამერიკელი ებრაელების განსხვავებულ აზრს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, არამედ ამერიკული პოლიტიკისადმი მათ დამოკიდებულებას.

ამის გამო ა.შ.შ.-ს ბევრი ებრაელი მძიმე არჩევნის წინაშე დგება. მათთვის რთულია იეჰუდ ოლმერტის გვერდით იხილონ ჯორჯ ბუში, რომელსაც ვერ იტანენ. თუ ბუში ის ლიდერია, რომლითაც ისრაელი აღფრთოვანებულია, მაშინ შეუძლიათ ამ ქვეყანასთან იგივდებოდნენ? ეს არის შეკითხვა, რომელსაც საკუთარ თავს ამერიკის ათასობით ებრაელი უსვამს.

ისრაელის მიერ ბუშის მხარდაჭერის შემდეგ, ჩრდილოეთ ამერიკაში ისრაელის მხარდამჭერმა ბევრმა ებრაელმა პოზიცია შეიცვალა. ტენდენცია ობამას გაპრეზიდენტების შემდეგად არ შეცვლილა. ამერიკელი ებრაელები ობამათი აღფრთოვანებულები არიან, მაშინ როდესაც ისრაელელების მისდამი დამოკიდებულება საკმაოდ ნეგატიურია. ისრაელელებს კი არ სჯერათ როგორ შეუძლიათ ამერიკელ ებრაელებს იმის მხარეს დგომა, ვისაც მათ ქვეყანასთან არცთუ ისე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

გაგრძელება, დასაწყისი მე-3 გვ.

წინაშე და ჩემი ხალხის უხუცესთა წინაშე. თუ გამოიხსნი, გამოიხსენ, და თუ არ გამოიხსნი მითხარი მე და ვიცოდე, რამეთუ არავინაა შენს გარეშე გამომხსნელი, და მე შენს შემდგომ ვარ, და თქვა: მე გამოვიხსნი.

5. თქვა ბოაზმა: რაჟამს ნაომისაგან, და მოაბელი რუთისაგან ყანას იყიდი (ეს ნიშნავს, რომ გარდაცვლილის ცოლი იყიდე, რათა აღადგინო სახელი მკვდრისა მის სამკვიდრებელზე.

6. და თქვა ნათესავმა: არ ძალმიძს, რომ გამოვიხსნა ჩემთვის, არამც წარვწყმიდო ჩემი სამკვიდრებელი. შენ გამოიხსენ შენთვის გამოსახსნელი ჩემი, რამეთუ გამოხსნა ვერ ძალმიძს.

7. ასე (იქცეოდნენ) ოდითგან ისრაელში გამოსყიდვისა და შენაცვლების ყოველი საქმის დასტურისათვის: გაიძრობდა კაცი თავის ფეხსამოსს და თავის მოყვასს აძლევდა. ეს იყო მოწმობა ისრაელში.

8. და უთხრა იმ ნათესავმა ბოაზს: იყიდე შენთვის! და გაიძრო თავისი ფეხსამოსი.

9. და უთხრა ბოაზმა უხუცესებს და მთელ ხალხს: დღეს თქვენ მოწმენი ხართ, რამეთუ შევიძინე ნაომისაგან ყოველივე, რაც (გააჩნდა) ელიმელეხს და ყოველივე, რაც (გააჩნდათ) ქილიონსა და მახლონს.

10. და შევიძინე ცოლად მოაბელი რუთიც, მახლონის ცოლი, რათა სახელი აღვუდგინო გარდაცვლილს თავის სამკვიდროში, და არ მოიკვეთოს გარდაცვლილის სახელი მის მოძმეთაგან და მისი ადგილსამყოფლის კარიბჭისაგან. (ამის) მოწმენი ხართ თქვენ დღეს!

11. და კარიბჭესთან მყოფმა ხალხმა და უხუცესებმა უთხრეს: მოწმენი ვართ! წარმოავლინოს უფალმა შენს სახლში შემომავალი ქალი, ვითარც რახელი და ვითარც ლეა, რამეთუ ორივემ აღაშენა სახლეული ისრაელისა, ქმენი ქველობა ეფრათში და გაითქვი სახელი ბეთ-ლეხემში!

12. და იყოს შენი სახლი, ვითარცა სახლი ფერეცისა, რომელიც უშვა თამარმა იეჰუდას, იმავ მოდგმიდან, უფალი რომ მოგცემს ამ ყმაწვილქალისგან.

13. და წაიყვანა ბოაზმა რუთი და გახდა მისი ცოლი. შევიდა მასთან და მისცა უფალმა მას ორსულობა და ძე წარმოშვა.

14. და უთხრეს დედაკაცებმა ნაომის: კურთხეულია უფალი, რომელმაც ნათესავი არ აღგიკვეთა! დაე, იწოდებოდეს ისრაელში მისი სახელი!

15. დაე, ის იყოს შენს სულდგმად და მარჩენალად შენს სიბერეში, რამეთუ იგი შვა შენმა რძალმა, რომელმაც შეგიყვარა, რომელიც უმჯობესია შენთვის შვიდ ძეზე მეტად.

16. და აიყვანა ნაომიმ ბავშვი და თავის წიაღში ჩაისვა და იყო მისი გამდელი.

17. და მეზობლებმა უწოდეს მას სახელი, ამ თქმით: ძე შეეძინა ნაომის. და უწოდეს სახელად ოვედი. იგია მამა იშაისა, დავიდის მამისა.

18. და აი, საგვარტომო ნუსხა ფერეცისა: ფერეცმა შვა ხეცრონი,

19. ხეცრონმა შვა რამი, რამმა შვა ამინადაბი,

20. ამინადაბმა შვა ნახშონი, ნახშონმა შვა სალმა,

21. სალმონმა შვა ბოაზი, ბოაზმა შვა ობედი,

22. ოვედმა შვა იშაი, იშაიმ შვა დავიდი.

ებრაულიდან თარგმნა შალომ დავიდმა

გაგრძელება, დასაწყისი მე-6 გვ.

გააჩნია. დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანი გაქვს, შეიძლება ტექნიკურად ძალიან გამართული ნამუშევრის შექმნა გინდა. ვფიქრობ, თვითონ ფერწერას თავისი კანონები აქვს, მხატვარი, რომელიც ფერწერაში თავის კანონებს ქმნის, ჩემი აზრით, სუსტი მხატვარია.

— როგორ იქმნება ფერწერის კანონები?

— თვითონ შრომის პროცესში აღმოაჩენ. ჩემი აზრით, ყველაფერი ბუნებას უკავშირდება, ადამიანს შინაგანი სამყარო არ ჩამოუყალიბდება თუ გარე სამყაროსთან არ აქვს ურთიერთობა. მუსიკაც, ფერწერაც ყველაფერი ბუნებაშია.

— ბატონო რომან, რა შთაგაგონებთ?

— ძალიან ბევრი რამ. გარემოცვა, ბუნება, ადამიანები, ხელოვნების ძველი ნაწარმოებები. ადამიანების ურთიერთობები შეიძლება ხელოვნების უშრეტი წყარო იყოს.

— იტალიის პერიოდმა თქვენს შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა, რომელია იმ პერიოდის თქვენი საყვარელი მხატვარი?

— რომელი ერთი გამოვარჩიო, მიქელანჯელო, ტიციანი, რაფაელი, ტინტორენტო, ძალიან ბევრი ოსტატები იყვნენ, რომლებსაც შეუძლიათ შთაგაგონონ.

— ვისი აზრია თქვენთვის მნიშვნელოვანი თქვენი ნამუშევრების შეფასებისას?

— ხალხის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველთვის შეიძლება ისეთი რაღაც მოისმინო, რომელიც შემდეგ ძალიან გამოგადგება. მაგალითად ბავშვს შეუძლია თქვას ისეთი რამ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. რაღაცის უარყოფა ყოველთვის ადვილია, მიღება კი — რთული. ყველაზე უარყოფითი შეფასებაც კი შეიძლება შენს სასარგებლოდ გამოიყენო.

— ბატონო რომან, თანამედროვე ქართველი მხატვრების შემოქმედებას თუ იცნობთ და რომელ მათგანს გამოარჩევდით?

— პირველ რიგში დავასახელებ გია ბუღაძეს, რომელიც ძალიან დიდი მხატვარია და საერთოდ უნიჭიერესი ადამიანია, ფილოსოფოსი და მრავალმხრივად მოაზროვნე ხელოვანია, მას ძალიან ვაფასებ. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჩემში სერგო ქობულაძეს, მისი ნახატები უმაღლეს დონეზე იყო შესრულებული. ზოგადად, ქართული სკოლა ძალიან დიდი და ძალიან მრავალფეროვანია.

— საქართველოს თემაზე თუ გაქვთ რამე დახატული?

— კი, უფრო ადრეული ნამუშევრები, ბოლო ხანებში, ჩამოსვლის წინ პატარა ეტიუდი გიასთვის საჩუქრად გავაკეთე. თბილისის ხედი არ არის, მაგრამ საქართველოს თემაა. ყოველთვის მოხიბლული ვიყავი სვანეთის ბუნებით, კოშკებით, გრანდიოზული ფორმებია, როდესაც მათ უყურებ, თითქოს ლაპარაკის უნარს კარგავ.

— როგორ დაახასიათებდით ნიუ-იორკის ქართველ ებრაელობას?

— მთლიანობაში დადებითად, როგორც ყველა ეროვნებაში, ჩვენთანაც არის ისეთი ადამიანების ფენა, რომელიც მაინცდამაინც პატრიოტიზმითა და თავისი ერის დიდი სიყვარულით არ გამოირჩევა, მთლიანობაში ამერიკაში ძალიან ძლიერი ებრაელობაა. რაც შეეხება ქართველ ებრაელებს, მე მგონი, ნიუ-იორკში უფრო მეტი არიან, ვიდრე საქართველოში. ერთმანეთთან ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

— გმადლობთ საუბრისათვის.

ესაუბრა ნინო შავაძე



ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლიანა, შვილები: ზაირა, ამირანი, ბესიკი, ნინო თავიანთი ოჯახებით, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დედმამიშვილები ოჯახებით ვიუწყებით

იცხაკ (კაკი) ყაზარიას-ძე ხახიაშვილის

გარდაცვალებას.

ნათან ბააზოვი, რამინ იაკობაშვილი, რევაზ და დავით შათაშვილები, გურამ ბათიაშვილი, ლარა მეგრელიშვილი, კოტე ლერნერი (იერუსალიმი), მარინა და თემურ იოსებაშვილები (ნიუ-იორკი) თანაგრძნობას უცხადებენ მედიცინის დოქტორსა და პოეტს ისაკ მეგრელიშვილს ქ. ბერლინში მეუღლის

ბეტის

გარდაცვალების გამო

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003